



საქმე №18/234-13

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

21 ოქტომბერი, 2013 წელი

ქ.თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე: კახაბერ მაჭავარიანმა**

ეკა კოკილაშვილის მდივნობით,

პროკურორის: ბ.ქ.-ს
მსჯავრდებულის: ო.ჩ.-ს

მონაწილეობით,

სახელმწიფო ბრალმძებლის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე **ო.ზ.-ს ძე ჩ.-ს** დაბადებულის **XXXX** წლის **X** აპრილს, საქართველოს მოქალაქის, ნასამართლობის არმქონის, უმუშევარის, დასაოჯახებელის, მცხოვრების: ქ. გ., ს.-ს ქ.**NXX**-ში, ამჟამად პატიმრის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი).

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენით **ო.ჩ.** გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს და 2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდები) წარდგენილ ბრალდებაში.

ო.ჩ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი) და სასჯელის ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 5(ხუთი)წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი) - თავისუფლების

აღკვეთა 5(ხუთი)წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და **ო.ჩ.-ს** დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10(ათი)წლის ვადით. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად **ო.ჩ.-ს** ¼-ით (ერთი მეოთხედით) შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით(2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) თავისუფლების აღკვეთა 3(სამი)წლის და 9(ცხრა)თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით(2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი)თავისუფლების აღკვეთა 3(სამი)წლის და 9(ცხრა)თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და **ო.ჩ.-ს** საბოლოოდ, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7(შვიდი)წლის და 6(ექვსი)თვის ვადით.

მსჯავრდებულ **ო.ჩ.-ს** მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ძარცვა, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 26 აგვისტოს, დღის საათებში, ქ. გ.-ში, მდინარე ლიახვის სანაპიროსთან მდებარე ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, **ო.ჩ.-მ**, **მ.თ.-ს** ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი, რის შედეგად **მ.თ.-ს** მიაღდა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი.

2012 წლის 9 სექტემბერს, დღის საათებში, ქ. გ.-ში, გ.-ს ქუჩა **NX**-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, **ო.ჩ.-მ**, **ე.ხ.-ს** ჩამოგლიჯა ყელსაბამი, რის შედეგად **ე.ხ.-ს** მიაღდა 1 200 (ათას ორასი) ლარის ქონებრივი ზიანი.

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალმდებელმა და მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, **ო.ჩ.-ს** ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდი) და, შესაბამისად, დანიშნული სასჯელის დამძიმება.

ბრალდების მხარეს აღნიშნული განაჩენი დაუსაბუთებლად მიაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: აპელანტის განმარტებით, მტკიცებულებები, რომელის საფუძველზეც სასამართლომ **ო.ჩ.-ს** მიმართ განაჩენი დაადგინა, არ ეფუძნება ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. მოსამართლე განაჩენის დადგენისას, 2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდში, იზიარებს მხოლოდ **ო.ჩ.-ს** ჩვენებას, როცა იგი აცხადებს, რომ ძარცვა ჩაიდინა მარტომ და სხვა პირი მასთან ერთად არ ყოფილა. თუმცა საქმეზე, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო პროცესზე დაკითხულმა დაზარალებულმა **მ.თ.-მ** და მოწმე **მ.ნ.-მ** დაადასტურეს, რომ **ო.ჩ.** იმყოფებოდა მეორე პიროვნებასთან ერთად, რომელმაც მას დაუძახა „დროზე ბიჭო“, **ო.ჩ.-მ** სწორედ იმ დროს ჩამოგლიჯა **მ.თ.-ს** ოქროს სამკაული, რომელიც მას ყელზე ეკეთა და ორივენი გაიქცნენ **გ.-ში** არსებული საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიისკენ. აღნიშნული დაადასტურა მოწმე **ტ.ნ.-მაც.** რაც შეეხება **ე.ხ.-ს** ძარცვის ეპიზოდს, აპელანტის აზრით, მოსამართლემ **ო.ჩ.** გაამართლა იმის გამო, რომ თითქოსდა საქმეში წარდგენილ ვიდეო-ფირზე შეუძლებელი იყო პირის იდენტიფიცირება.

მსჯავრდებულმა **ო.ჩ.-მ** მხარი არ დაუჭირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის უცვლელად დატოვება.

სააპელაციო პალატა გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, თითოეული მათგანი შეაფასა ობიექტურად და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაკითხული მ.თ.-ს ჩვენებით დადასტურდა ის გარემოება, რომ 2012 წლის 26 აგვისტოს ო.ჩ.-მ მას ჩამოგლიჯა ყელსაბამი, რომლის ღირებულება იყო 1 000 ლარი. როგორც მოწმემ განმარტა ო.ჩ. მოქმედებდა მარტო. მას გარეთ ელოდებოდა მისთვის უცნობი პიროვნება, რომელმაც დაუძახა „დროზე ბიჭო“ და სხვა არანაირი მოქმედება არ შეუსრულებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ტ.ნ.-მ უჩვენა, რომ 2012 წლის 26 აგვისტოს, ავტოვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას შენიშნა ორი ახალგაზრდა პიროვნება, რომლებიც საეჭვოდ მოძრაობდნენ. შემდეგ მათთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მოგვიანებით გაიგონა მ.თ.-ს ყვირილი ჯაჭვი ჩამომგლიჯესო. ამ დროს დაინახა ის ორი პიროვნება გარბოდა.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ე.ხ.-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2012 წლის 9 სექტემბერს, ო.ჩ.-მ, როემლიც მისი დაკავების შემდეგ ამოიციო, ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი, რითაც მიაღვა 1 200 ლარის ოდენობის ზიანი მისივე განმარტებით ო.ჩ. მოქმედებდა მარტო, მასთან ერთად სხვა პიროვნება არ უნახავს.

სააპელაციო პალატა განმარტავს, „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დადგენდეს ის ფაქტი, რომ დანაშაულში მონაწილე პირები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, ერთობლივად კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. ქმედების კვალიფიკაციისას, „წინასწარი შეთანხმების“ დადგენა აუცილებელია, რათა მოხდეს განსხვავება დანაშაული ჩადენილია „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ თუ უბრალოდ ჯგუფის მიერ, რომლისთვისაც აუცილებელი არ არის „წინასწარი შეთანხმების“ ნიშნის არსებობა.

პალატა კონკრეტულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ქმედების სამართლებრივი შეფასებისას, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, მითუმეტეს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დადასტურდებოდა მსჯავრდებულ ო.ჩ.-სა და სხვა პირის წინასწარი შეთანხმების ფაქტს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ვერც 2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდში, დაზარალებულ მ.თ.-ს და მოწმე ტ.ნ.-ს ჩვენება იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებულს გარეთ მეორე პიროვნება ელოდებოდა, რომელმაც დაუძახა „დროზე ბიჭო“ და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ მასთან ერთად გაიქცა, და ვერც 2012 წლის 9 სექტემბერის ეპიზოდში, დაზარალებულ ე.ხ.-ს ძარცვის შემდეგ, ვიდეოთვალის მიერ დაფიქსირებული ორი პიროვნების გაქცევის ფაქტი, ვერ გახდება იმის საფუძველი რათა მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“ ჩადენილი ქმედება.

გარდა აღნიშნულისა, მსჯავრდებული ო.ჩ. მთელი სამართალწარმოების სტადიაზე უარყოფდა წინასწარი შეთანხმებით, ვინმესთან ერთად, დანაშაულის ჩადენას. იგივე პოზიცია დააფიქსირა მან სააპელაციო სასამართლოში საბოლოო სიტყვით გამოსვლისას. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“.

საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“

ამდენად, პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, იმსჯელოს ერთმანეთთან შეთანხმებულ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა

დაასაბუთებდა **ო.ჩ.**-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ **ო.ჩ.**-ს მიმართ დანიშნულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოქმედება. ამასთან ერთად, 2013 წლის 17 აპრილის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. საქართველოს სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად აღნიშნულ ცვლილებას აქვს უკუძალა და შესაბამისად, ამსუბუქებს იმ მსჯავრდებულის მდგომარეობას, რომელსაც საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე.

მსჯავრდებული **ო.ჩ.** 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ნასამართლევი და აქედან გამომდინარე, მას საბოლოოდ სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, მსჯავრდებულ **ო.ჩ.**-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების (ორივე ეპიზოდი) და შესაბამისად სასჯელის დამძიმების თაობაზე უსაფუძვლოების გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს. გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენში სასჯელის ნაწილში შეტანილ იქნეს ცვლილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით და სსკ-ი 559-ე მუხლის მე-2 ნაწილით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- 1.სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- 2.გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება.
- 3.**ო.ჩ.** ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) – 5(ხუთი)წლით თავისუფლების აღკვეთა, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს ¼- (ერთი მეოთხედით) და მოსახდელად განესაზღვროს 3(სამი)წლით და 9(ცხრა)თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი)– 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს ¼- (ერთი მეოთხედით) და მოსახდელად განესაზღვროს 3(სამი)წლით და 9(ცხრა)თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა (ამნისტიის გათვალისწინებით) 3(სამი)წლით და 9(ცხრა)თვით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქმოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 9 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული თანაბარი სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით) - 3(სამი)წლით და 9(ცხრა)თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ **ო.ჩ.-ს** სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 (სამი)წლით და 9(ცხრა)თვით თავისუფლების აღკვეთა.

4.მსჯავრდებულ **ო.ჩ.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავების დღიდან - 2012 წლის 30 სექტემბრიდან.

5.საქმეზე ნივთმტკიცების სახით დართული **ხ.ო.-საგან** ამოღებული ჩანაწერი CD დისკი 1 (ერთ) ფუთად შენახული იქნას საქმის შენახვის ვადით. ამოღებული ქურთუკი, შარვალი და პოლიეთილენის პარკი, რომლებიც ინახება შსს გორის რაიონულ სამმართველოში, დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს. მიკრონაწილაკების ოდოროლოგიური ნიმუში, **პ.ე.-საგან** და **ზ.მ.-საგან** ამოღებული ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ინახება შსს გორის რაიონული სამმართველოს შენობაში, განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

6.თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

7.განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

კ. მაჭავარიანი